ბრძანება:**ბ47. 4724325001**
თარიღი:**20/11/2024**

ბრძანება N 125

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 27 ნოემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.2. ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან გიორგაძე

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი